საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაკე

ვაკე, სოფელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ჩხიკვთის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ალგეთის ხეობაში, სოფ. გუდარეხის ჩრდ.-აღმ-ით. ზ. დ. 860 მ. 12 მცხ. (2002). XV–XVIII სს. ისტ. საბუთებში მოხსენიებულია როგორც საბარათიანოს სოფელი. ვ. აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) რუკებზე და მოხსენიებულია ქვემო ქართლის სოფელთა სიაში. ვ. არსებობდა შუა საუკუნეებშიც, რასაც ადასტურებს XIII ს. ორი ეკლესია. ერთ-ერთი მათგანის წარწერაში იხსენიება თამარ მეფე. XIX–XX სს-ში სოფელში ცხოვრობდნენ ჩამოსახლებული მთიელები. სოფლის განაპირას დგას 1341 წ. აგებული ღვთისმშობლის ეკლესია.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში, თბ., 1935; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, ნაწ. 1, თბ., 1964.

თ. თოდრია